№ 9 იანვარი 14, სამშაბათი. 1886 იანვარი 14, სამშაბათი № 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . . | 10 | — | 6 . . . . | 6 | — |
| 11 . . . . | 9 | 50 | 5 . . . . | 5 | 50 |
| 10 . . . . | 8 | 75 | 4 . . . . | 4 | 75 |
| 9 . . . . | 8 | — | 3 . . . . | 3 | 50 |
| 8 . . . . | 7 | 25 | 2 . . . . | 2 | 75 |
| 7 . . . . | 6 | 50 | 1 . . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბაზროვის ქუჩაზე, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს დ გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი.

## ქართული თეატრი

ბენეფისი

**კ. მ. მაქსიმიძისა**

ოთხშაბათს, 15 იანვარს ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება

I

**ორი ცეცხლს შუა**

სამ მოქ. დრამა ჟირარდენისა, ფრანციულიდამ ნათ. ი. მაჩაბლისაგან.

II

ერთი სცენა შილლერის ტრაგედიიდგან

**ავაზაკები**

III

**მეჯლისი იტალიელებით**

ოპერეტკა 1 მოქ. მუზ. ოფენბახისა

ანტრაქტებში დაუკრავს ორკესტრი ბ. **მორტორატის** თაოსნობით.

ადგილების ფასი ჩვეულებრივი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

ტფილისი, 14 იანვარს.

1550 წელიწადზედ ცოტა მეტნაკლებია მას აქედ, რაც სომხეთის ქალაქს დვინს გამოხიზნულმა ქალმა ნინომ მიიღო ბრძანება ღვთისა: «აღზდეგ და წარვედ ჩრდილოდ კერძო, სად არს სამკალი ფრიად, ხოლო მუშაკნი არა». ხუთმეტ-ნახევარი საუკუნეა მას აქედ, რაც ფარავანის ტბის ახლო წმინდა ნინო შეემთხვია მწყემსებს და როცა ჰკითხა: სადაურები ხართო, პასუხად მიიღო: ჩვენ ვართ მცხოვრებნი «ქინძარისა და ქალაქის მცხეთისანი, სადა ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენო».

5-ს აგვისტოს 314 წელსა *) ქრისტეს აქედ წმინდა ნინო მობძანდა მცხეთას და მეორეს დღეს იყო რა «ოხვრა საყვირთა და ზარ-დიდი და შეამკვნეს გზანი და ფოლორცნი ვითარცა ყვავილნი ველთა და გამოვიდნენ ერნი. შემდგომად გამოვიდა დედოფალი ნანა, მერმე მირიან მეფე დიდებით.» იკითხა წმინდა ნინომ ეს რა ამბავიაო და ერთმა ურიამ უპასუხა: «ღმერთნი მათნი უწესნ მათ თაყვანისცემად.» მას მერმედ განვლო სამმა წელიწადმა კიდევ. მირიან მეფე ნადირობდა და ნადირობის დროს მზე დაბნელდა. ამ უეცარის მოვლენით შეძრწუნებულმა მირიან მეფემ დაიღაღადა: «ღმერთო ნინასავო! განმინათლე ბნელი, უკეთუ ხარ ჭეშმარიტი ღმერთი და აღგიარო შენ.» მის სიტყვისათანა განათლდა ყოველი ქვეყანა და თვალნიც მეფისანი. მაშინ მირბოდა მეფე ზახილით: «დიდ არს ღმერთი ნინასი» და გამოეგებოდა ნანა დედოფალი საფურცლესა ერითურთ. არამედ მეფე მივიდა ქოხსა მას წინაშე ნინასა, გარდახდა ცხენისგან, თაყვანი სცა ჯვარსა ვაზისა ნინასა და აღიარა ქრისტე მან და ერმან მისმან.» ეს მოხდა, ვახუშტის სიტყვით, 317 წელს ქრისტეს შობის აქედ, ბროსსეს სიტყვით კი 328 წელსა. ამ სახით, კერპთ-მსახურება ქართველებისა განქარდა და ულმობელის, სისხლ-მოყვარე არმაზის მაგიერ აღმართა ჩვენში ჯვარი პატიოსანი კაცთმოყვარე ღმერთისა, რომელიც ჯვარს ეცვა ხსნისათვის ქვეყნისა და რომელმაც ჩვენ ცოდვილთა გვიბძანა: «ესე არს სისხლი ჩემი თქვენთვის და მრავალთათვის დანთხეული მისატევებელად ცოდვათა, ესე არს ხორცი ჩემი, თქვენთვის განტეხილი.» მას აქედ აღვიარეთ ჩვენ, ქართველებმა იგი ჯვარცმული ღმერთი, ღმერთი ყოველთა ერთნაირად შემწყნარებელი, ღმერთი ყოვლად მხსნელის სიყვარულისა, ღმერთი შენდობისა და მიტევებისა, ღმერთი ნუგეშინის ცემისა, ღმერთი, რომელმაც შეგვიწყალა და გვითხრა: მოვედით ჩემთან მაშვრალნო და ტვირთ მძიმენო და მე განგისვენო თქვენ.» ღმერთი, რომლის «უღელი ტკბილ არს და ტვირთი სუბუქ», ღმერთი, რომელმაც ანდერძად დაგვიტოვა: «გიყვარდეს მოყვასი შენი ვითარცა თავი შენი და ყოველთა, რომელთაც აღიღონ მახვილი, მახვილითავე წარჰსწყმდნენ.»

წმინდა ნინამ, ქალმა უძლურმა, შემოიტანა ჩვენში ეს დიდებული მოძღვრება და ეკლესიამ ჩვენმა დაადგა მას გვირგვინი წმინდანისა და აღიარა მოციქულთა სწორად. 14 იანვარს, ზოგის სიტყვით 329 წ. და ზოგისა — 339 აღსრულდა იგი კურთხეული დედათა შორის სოფელ ბოდბეს და იქ, სადაც განმანათლებელი ჩვენი მიებარა მიწას, დღეს მშვენიერი მონასტერია, დიდად პატივ-ცემული იქაურ ქართველთაგან.

ნუ-თუ მარტო იქაურ ქართველთაგან? იკითხამთ თქვენ განცვიფრებულნი სხვათა ქართველთა გულ-გრილობისაგან. დიაღ, მარტო იქაურ ქართველთაგან, ჩვენდა სამწუხაროდ! ბევრი ამისთანა რამ არის საკითხავი ჩვენში, მაგრამ პასუხს სირცხვილი გარედ არ უშვებს.

მას აქედ ჩვენი ეკლესია დღესასწაულობს წმინდა ნინოს დღეობას 14-ს იანვარს. მას აქედ 1547, ანუ 1537 წელია განვლილი.

---

*) ზოგნი ამბობენ წმ. ნინოს მცხეთაში მობძანებას 311 წ., ზოგნი 325 წელს.

# დეპეშა

იანვრის 11.

**კონსტანტინოპოლი.** იმედი აქვთ' რომ ბოლგარიასთან მალე მორიგდებიან, იმ სახით რომ მორიგების საფუძვლად ბოლგარიისა და რუმელიის ერთ-მთავრობას დააწესებენ.

**სოფია.** გარეშე-საქმეთა მინისტრი ცანკოვი და გადბან-ეფენდი სტამბოლში წავიდნენ.

**ბელგრადი.** რადგანაც სერბიას ამტყუნებენ, რომ ვითომ იგი აჭიანურებს მოლაპარაკების საქმეს, გაცხადებთ, რომ პორტას ჯერაც არ უცნობებია სერბიისათვის, სად უნდა იყოს მოლაპარაკება. გარაშანინი ნიშს წავიდა კოროლთან სათათბიროდ.

**ლონდონი.** სახელმწიფოთა უმრავლესობა, ინგლისის წინადადებისამებრ, თანხმაა ენერგიულად ურჩიოს საბერძნეთს, რათა თავი დაანებოს ხომალდების აღჭურვას ოსმალეთის წინააღმდეგ.

**ბერლინი.** რაციონალ-ლიბერალები და კონსერვატორები პრუსიის სეიმის დეპუტატთა პალატებისა თანხმანი გახდენ, რომ მიღებულ იქმნას განზრახული ღონისძიება აღმოსავლეთის პროვინციების გაპოლიაკების წინააღმდეგ. ღონისძიება იმა-

# ფელეტონი

## ოცის წლის წინად.

### I

(ძველის მამასახლისის ნაამბობი)

—

ნაქერალას ქედი უზარმაზარ კედლათ აყუდებული რაჭა-იმერეთ შორის. იმერეთისკენ მოქცეული ფერდები კლდოვან ფრეწინები აქვს, რაჭისკენ მიქცეულნი, უფრო აბერილნი, ვაკე-გორებათ გაეკვრებიან კავკასიის მთებისკენ. ნაქერალას გადმოღმა მხარე დაკიდებულია. მთის ძირიდამ მოკიდებული დაგრეხილი მთიან-გორებიანი ოკრიბის მაზრა დაეწყდება ქუთაისის ქალაქთან. მის ქვემოთ რიონის ჭალები დაეფინება ზღვამდის. ნაქერალას გადაღმა რაჭის მაზრა თანდათან მიიგრიხება მაღლა და ადის კავკასიის მთის წვერებამდის. ამისთვის გადმოღმა მხარე შეუდარებლად ცხელი ჰაერისა არის გადაღმაზე: იქითი მხარე ძალიან გრილია და ზოგან ცივიც არის. ეს არის მიზეზი, რომ ნაქერალაზე მუდამ ქარი ჰქრის, თუ სხვა, არ ვიცი; მხოლოდ ეს კია, რომ იქ, ნამეტნავად ზამთარში, ქარი ერთგულ მოჯამაგირესავით დღე ნიადაგ ხვეტავს ნაქერალას ფრეწიან ფერდებს და აყრის ნამქერს ოკრიბის მაზრას. ვინ იცის, იქნება ამიტომაც უძახდენ ამ ქედს ნაქარალს, ანუ «ნაქერალას».

ერთს ზამთარს მე და ჩემი ამალა მოვხვდით ამ ნაქერალას ძირში. მთელი დღე თოვლი გვივსებდა თვალებს და ცივი ქარ-ბუქი ნემსივით სჩხვლეტავდა ჩვენს ტანს. ზოგჯერ ნაბუქში ცხენიან-კაციანა გავივლიდით ძირს, ასე რომ ჩვენს ცხენებს მხოლოდ ყურები მოუჩნდა. საღამოს ჟამს რის ვაი-ვაგლახით მივატანეთ ნაქერალას და შევეფარეთ ერთს დუქანს. ვინ გამოხატავს იმ სიამოვნებას, რომელიც მე გამოვსცადე, როდესაც მედუქნემ გაშეშებულ ფარგასავით გადმომიღო ცხენიდან, შემიტანა დუქანში და კოდივით დამაყუდა ცეცხლის პირსა. მადლობა ღმერთს, სიკვდილს მაინც გადავრჩი მეთქი — უნებურად წამოვიძახე.

დღე და ღამე რომ გაიყარა, ქარი გრიგლათ გადიქცა და ნაქერალას წვერიდგან გადმოხვეტილს ნამქერს უწყალოდ გვაყრიდა თავზე. კიდევ კარგი, რომ ამ დროს დუქანში ვიყავით შეფარებული და ცხენები ბოსელში გვყავდა დაბინავებული. გრიგალი თითქოს ამითი გამოჯავრებული, რომ მისი წერანი ხელიდან დაესხლტით შემთხვევით, დაგვზუზუნებდა, დაგვჩხაოდა და დუქნის სახურავს უხვად აყრიდა ნამქერსა. აგერ ჯაგებში შემოკვეთილს კურდღელს რომ მონადირენი შემოადგებიან, თოვლის გუნდებს დაუწყებენ სროლას და თან უცაცხანებენ, ქარიშხალიც ისე გვიცაცხანებდა, თითქოს ჰსურდა ჩვენი გარედ გამორეკა. მაგრამ გავდგით ფეხი და მის მუქარაზე გავისქელეთ ყურები. როგორც ჯაგში ჩამამული ჭკვიანი ყურდღელი, ჩვენც ისე გავინაბენით და სინიდისის დასამშვიდებლად ვიმართლეთ თავი უკვდავის პოეტის სიტყვებითა: «საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან». შემოვუსხედით ბუხრის ღუზლუზა ცეცხლს და შევუდექით ვახშმის თადარიგს. ჩვენ ვიყავით ხუთი კაცი; გვერია ერთი ნამამასახლისარი ფრიად კარგი მომღერალი და მგალობელი; მას ახლდა მობანე და მოძახილი.

— მედუქნე— შევსძახე — აბა რა გაქვს ამაღამ ჩვენთვის?

— ღვთის მოწყალება ყველაფერი კაი, ჩემო ბატონო: კარგი მსუქანი დედალი, კარგი რაჭული ლორი; იმისთანაა, ბატონო, რომ გახედოთ, ქარვა გეგონებათ; კურსეველი ღვინო, ჰქაში ისე სჭვირს, როგორც იაგუნდი. პირში ისეთი ფუცხუნაა, ბატონო, რომ მისი დალევა და თავბოლის აღება ერთი იქნება.

ჩვენც ეგ გვეჭირვება, ჩემო ძმაო, —მადიანის პირის წლაკუნით დაუმატა ნამამასახლისარმა. ამისთანა უბედურს ღამეში, ვინ იცის, რა მოგვივა. იქნება ქარიშხალმა მთელი ნაქერალას თოვლი სულ ამ შენს დუქანს თავზე დაახვეტოს ამაღამ და ჩვენც ქვეშ დაგვიტანოს. თუ შენი ფუცხუნა ღვინო არ გაგვიჯდა ტანში, სხვა რა გაგვაძლებინებს.

— ფიქრი ნუ გაქვს, ბატონო; ქარიშხალი ყოველთვის ასე ემუქრება ამ ჩემს დუქანს, მაგრამ ჯერ ერთი ყავარიც ვერ შეუგლეჯია.

— ისემც კარგი დაგმართოს ღმერთმა.—დაცინვით დაჰკრა კვერი ნამამასახლისარმა; მერე გადისვა ხელი ულვაშებზე, შემომხედა და დაიწყო: «კნიაზო,—ასე მეძახოდა ნამამასახლისარი.—თქვენ რომ ნოეს მტრედსავით არ გაგვჩენოდით, უსაშველო იყო ჩვენი მდგომარეობა. სადმე თოვლის ბუქი დაგვმარხავდა...

ამ დროს ქარიშხალმაც ათას ნაირად დაფშტვინა დუქნის ჰერტიმალებში, თითქოს ნამამასახლისარის სიტყვებს კვერი დაჰკრაო. იმ წუთას ბუხრიდანაც გამოვარდა ბულქვათ კომლი და დაგვწვა თვალები.

— სოროში რომ მელიას კომლს უხრჩოლებენ, მგონია, ჩვენც ისე გვიპირობს ეს ქარიშხალი—დაატანა ნამამასახლისარმა.

მართლაც ისეთი კომლი გადგა დუქანში, რომ ცოტას ხანს კიდევ დაცლოდა, ან გავიგუდებოდით, ან გარეთ უნდა გამოვცვივნულიყავით. მაგრამ ღმერთი შეგვეწია, რომ როგორც უცებ გაივსო სახლი კომლითა, ისე უცებ გაჰქრა მის ფარღალალებში.

— ვაძლიეროთ ცეცხლი ამ ბუხარში, სხვა ღონე არ არის. მედუქნე, ხის კუნძები ხომ ბლომათ გაქვს?

— კი, ბატონო,—მიაძახა მედუქნემ და ასეთი ხის ნამორი გამოათრია ბოსლიდამ, რომ ორმა კაცმა ძლივს შესდვა პირ-ღია ბუხარში...

— სიცოცხლე გაქვს, მაგან ცეცხლი დააგუგუნოს! წამოიძახა ხელების სრესით ნამამასახლისარმა.

სითბო მართლაც გაგვიჯდა გვერდებში, წალებზე ყინები შემოგვადნა, ფეხსაცმელები დავიძვრეთ და დავშრით. ამ დროს ვახშამიც მზად იყო: მედუქნე მარდათ დაფაცურობდა. ნამამასახლისარმა იკისრა მოურაობა. ის იყო სამფეხა სკამზე წამომჯდარი და იქიდამ აძლევდა ყოველ-ნაირს ბძანებას.

— ჩქარა, მედუქნე, ჩქარა!... მისძახოდა—კნიაზი დალალულია. რაც არის მალე მოგვიტანე. მე გეტყვი ამისთანა სტუმრები ხშირად მოგივა; თვალები გააპარა მედუქნისაკენ. თითქოს ანიშნებდა, შეამკეო. იმანაც მორთო «რეჩები».

— ნეტაი ღმერთი შემაძლებინებდეს მაგის პატივის-ცემას, თვარა მაგის გულისათვის თავს რავა დავზო-

ში უნდა მდგომარეობდეს, რომ ნემეცური სკოლები და კოლონიზაცია განმრავლდეს და განძლიერდესო.

**ლონდონი.** სამხედრო მინისტრად დანიშნულია საიდუმლო რჩევის პრეზიდენტი ლორდ კრენბურგი.

**პეტერბურგი.** *Journal de St.-Pestersborg* ამტკიცებს, რომ ამ დღეებში სახელმწიფონი ათინასა, ბელგრადსა და სოფიაში უფრო მხნედ მოითხოვენ მშვიდობიანობის აღდგენას ბალკანიის ნახევარ-კუნძულზე.

**სტამბოლი.** მეჯიდ-ფაშა და ბოლგარიის დესპანი ბუქარესტში მიდიან სერბიასთან მოსალაპარაკებლად.

**ბერლინი.** შეერთებულმა რჩევამ ერთხმივ უარი სთქვა გაარჩიოს პოლშელების განდევნის საქმე. რადგანაც ეგ საკუთარი საქმეა პრუსიისაო.

**ლონდონი.** რკინის გზით ჩესტერიდამ ოქტანგოს მიმავალი უელის პრინცი, მემკვიდრე ინგლისისა პოლიციამ შეაყენა, რადგანაც ხმა იყო, რომ უბედურებას შეამთხვევენო. პრინცი რკინის გზიდამ გადმოსულა და ეტლით წასულა.

**ბელგრადი.** ხმა დაგარდა ვითომ ბოლგარებს სამზღვარზე სოფელი ბრეგოვოა დაუჭერიათო, ამ ამბავს სერბიელები ძალიან შეუწუხებია.

კოროლ მილანისთვის ურჩევია სამინისტროს მორიგების საქმე აჩქაროს, კოროლს ეს რჩევა შეუწყნარებია და ამის გამო მთავარ-მინისტრი და ფინანსთა და სამხედრო მინისტრნი წასულან დღეს ნიშში, ინსტრუქცია შეადგინონ მორიგებაზე მოლაპარაკების შესახებ.

ვრანიიდამ სამხედრო მოხელენი იუწყებიან, რომ ბოლგარებს გლასხასის ახლო სამზღვარი დაუჭერიათო.

## ახალი ამბავი

⁂ ქალაქის რჩევამ 10-ს იანვარს 1886 წელს აირჩია კამმისია და წევრად დანიშნა ისა იაგორის-ძე პიტოევი, ალექსანდრე თომას-ძე ფრიდონოვი, სტეფანე ივანეს-ძე იზმიროვი, გიორგი გრიგოლის-ძე ევანგულოვი და თ. ალექსანდრე ჩოლაყაშვილი და ამ კომისიას მიანდო გაჰყიდოს ობლიგაციები 800,000 მანათისა, დანიშნული ქალაქში წყლის გამოსაყვანად. მას შემდეგ, რაკი პეტერბურგის ბანკირებისაგან გადაწყვეტილი პასუხი მოვიდა, რომ ხსენებულ ობლიგაციებში ათს თუმანში ცხრა თუმანს და ათს შაურზედ მეტს არ იძლევიანო, კამმისია მოურიგდა აქაურ კამმერციის ბანკის რწმუნებულებს, ალექსანდრე ივანეს-ძე მანტაშოვს დ ბანკის გამგებელს მიხეილ ივანეს-ძე თამამშოვს და მიჰყიდა ათ თუმნიანი ობლიგაცია ცხრა თუმნად და ხუთმეტ შაურად და ამ სახით გაასაღა მთლად 800,000 ობლიგაციები. წლის განმაელობაში, საჭიროებისამებრ, ეს ფული ნაწილ-ნაწილ უნდა მიეცეს ქალაქსა.

⁂ ბ. საბინინმა ჩამოიტანა რუსეთიდამ დიდი ზარი და წაიღო ს. ბოდბეს წმინდა ნინოს ეკლესიაში ჩამოსაკიდებლად ამ იანვრის 14 რიცხვისთვის.

⁂ რაჭიდამ გვწერენ, რომ აქ ძალიან შეწუხებულნი ვართ უფოსტობის გამოო. კვირა და ორი კვირა ისე გავა, რომ გაზეთი და ჟურნალი თვალით ვერ დავინახოთო. ეხლა იმედს გვაძლევენ, რომ მაისიდამ ფოსტის გზა გაიმართება ქუთაისიდამ ონამდე. ეს გზა ლეჩხუმზე წამოვაო. თუ იმედი არ გაგვიმტყუნდა, ჩვენს მივარდნილს კუთხეს კარგი საქმე მოუვაო.

⁂ გაზ. «ნოვოე ვრემია» ამბობს, რომ მინისტრთა კომიტეტმა უნდა განიხილოს, საჭიროა თუ არა უთუოდ ააცილონ რკინის გზის ლიანდაგი სურამის გასაჭირს ალმარს და ან რა გზით მოუაროსო. ეს საქმე მიენდობა ან ამიერ-კავკასიის რკინისგზის საზოგადოებას, ან გზათა სამინისტროს. ამ გვარად რკინის გზის გადაკეთება დაჯდებაო 10,500,000 მა.

⁂ ინჟენერს ბარის ნავთი მილებით გაუყვანია ბათუმში და ეხლა ნავთით იტვირთება ერთ ხომალდი «Свѣтъ» რუსეთის სანაოსნო საზოგადოებისა. 6 იანვარს ბათუმში ამავე მილებით გამოყვანილი 100,000 ფუთამდე ნავთით დაუტვირთავთ ინგლისის ხომალდი ანტვერპენში გასაგზავნად.

⁂ ქუთაისელი კორესპოდენტი ერთს შესაძრწუნებელს ამბავსა გვწერს:

«ამ თვის 5-ს, კვირ დღეს, ჩვენ ვიყავით მოწამე შემაშფოთებელის სანახავისა. ქუთაისის სობოროს პირდა-პირ, ბულვარის კარებთან, იჯდა მთხოვარა ქალი (ვგონებ აზრუმიდამ მოსული სომხის ქალი) პატარა ერთის წლის უსუსურის ბავშვით. ამ მთხოვარა ქალს, რომ შეებრალებინა თავი გამვლელ-გამომვლელისათვის, პატარა ბალღს ფარულად აწვალებდა და აბღავლებდა. საცოდავი ბავშვი გაჰკიოდა და ფართხალობდა. ერთი მადლიანი კაცი არ გამოჩნდა, არც პოლიციელი და არც სხვა, რომ უბედური გლახაკისათვის დაეშალა ამ გვარი სისაძაგლე. თუ თავიდამვე არ მოისპო ჩვენში ეს ბოროტ-მოქმედება, გადამდებ სენსავით მოედება ღარიბ ხალხს. ლონდონში, პარიჟში და სხვა დიდს ქალაქებში ყმაწვილებს კიდეც ამახინჯებენ მათხოვრობისათვის. წვალებას შეიძლება დამახინჯებაც მოჰყვეს. ჩვენში მუქთა-მჭამლობა ისე გავრცელებულია, რომ გადამდებ სენსავით საშიშია ამ გვარი მაგალითი.

⁂ გუშინ წინ უბრწყინვალესის კნეინა გრუზინსკის სახლში, კნ. თუმანოვის სადგომში გაჩენილა ცეცხლი. დამწვარა ფარდები და ერთი ნაწილი მებელისა სულ 500 მან. ღირებული. ცეცხლი ცეცხლის მქრობელს გამანდას გაუქრია. ნივთები დაზღვეული არა ყოფილა.

⁂ ზედ შუადღეზედ იანვრის 11, კნ. ნატალია თარხან მოურავის სახლი გაუტეხიათ ქურდებს, წაუღიათ ნაღდი ფული 600 მ. უსახელო ბანკის ბილეთები 800 მ. და სხვა-და-სხვა ვერცხლისა და ოქროს ნივთები 800 მან. გამოძიება სწარმოებს ამ საქმის გამო.

⁂ აბოვიანცის სახლში პოლკოვნიკის გიორგი ყაზბეგისათვის მოუპარავთ 7 ვერცხლის ფული და ვერცხლისავე საშაქრე სულ 45 მან. ღირებული.

## დრამატიულის საზოგადოების სხდომა.

კვირას, ამ თვის 12-ს არწრუნისეულ თეატრის დარბაზში თორმეტ საათამდე შეიყარნენ საკმაოდ ბევრნი წევრნი დრამატიულის საზოგადოებისანი; გარეშე პირნიც ბევრნი იყვნენ. ხშირადა ხდება ჩვენში რომ საზოგადო ყრილობაზე კანონიერი რიცხვი წევრთა არ იკრიბება და ამისი ეფიქრებოდათ, იქნება დღეს არ მოხდეს კრებაო.

დაჰკრა თორმეტმა საათმა და ჯერ კიდევ ჯეროვანი რიცხვი წევრთა არ შეკრებილიყო. თითქმის ნახევარმა საათმა გაიარა, სანამ სხდომა დაიწყებოდა, როდესაც აღმოჩნდა რომ დღესვე შეიძლებოდა საქმეების განხილვა.

სცენაზე მმართველობისთვის სტოლი იდგა. მაგრამ სამგლოვიარო სანახავი იყო ეს სურათი. შუაში იჯდა ჩვენი პატივ-ცემული პოეტი თ. რაფაელ ერისთავი, თავმჯდომარე საზოგადოებისა. მარჯვენივ და მარცხნივ ცარიელი სკამები ემწკრია. ეს სკამები თავის დაობლებასა ღაღადებდა და თითქოს ევედრებოდა კრებას პატრონები გაგვიჩინეო.

ყრილობამ თავმჯდომარეს მიაშველა ერთი თავისთაგანი თ. ნოდარ ჯორჯაძე, რომელიც სხდომის დროს მდივნის თანამდებობას ასრულებდა, სწერდა სიებს, ბილეთებს და პროტოკოლს სხდომისას.

სხდომა დაიწყო თავსმჯდომარის მოხსენებით. პირველად მოახსენა, რომ შარშან ზაფხულს მმართველობა ამორჩეულ იქმნა ამა და ამ წევრებისაგან. იმ წევრებში მეც ამოვერჩიე და თავმჯდომარეობა ჩემთვის ეკისრებინათო, ჩემს დაუკითხავად. ამ გვარათვე ამოერჩიათ დაუკითხავად მომატებულნი წევრნი მმართველობისანი. მათგან თითქმის ყველანი ქალაქ გარედ არიან. ამის გამო ის ამბავი მოხდა რომ ორიოდე სხდომაც ვერ მოვახერხე. ეს გარემოება საზოგადო ყრილობას მოვახსენე და მან ისე გადასწყვიტა, რომ მმართველობის წევრებმა, რომელთაც არა სურთ მონაწილეობის მიღება, გამოაცხადონო. ვეცადე, მაგრამ აქამომდე არა გამოვიდა-რა და აი თქვენის კეთილის თვალითა ხედავთ, რომ მარტო დავრჩენილვარ. მარტო კაცი, ნათქვამია, ჭამაშიაც ბრალიაო. ამისათვის გთხოვთ ახალი მმართველობა ამოარჩიოთ და მე განმათავისუფლოთო.

ყრილობაში ლაპარაკი ჩამოვარდა, ამ საზოგადო ყრილობის საკუთარი თავმჯდომარე ამორჩეულიყო წესდების მუხლის საფუძვლით. ერთ-ხმად კრებისაგან ამორჩეულ იქმნა თავადი რაფაელ ერისთავი.

შეუდგნენ ამორჩევის თადარიგს. ყრილობაში მყოფთა შორის ამოჩნდნენ პირნი, რომელთაც გამოაცხადეს სურვილი საზოგადოებაში წევრად შემოსვლისა. ამაზე ყრილობამ გადასწყვიტა ამოერჩიათ საზოგადოების წევრებიც.

შემდეგ შეუდგნენ მმართველობის კანდიდატების სიის შედგენას და საკმაოდ ბევრნი დაასახელეს.

ყრილობაში ლაპარაკი ასტყდა, რომ კანდიდატობა ისეთმა პირებმა უნდა იკისრონ, რომ ტფილისში

---

გავ. მთელი ეს ჩემი დუქანი მაგას ენაცვალოს. მაგის სახელი დუნიაზეა მოფენილი (აშოროს ღმერთმა, თავის დღეშიაც არ გაუგონია. რომ ვისმე ეკითხნა, ვერც იტყოდა, ვინ ვიყავი). ჩემს საწყალს დუქანს მარტო მაგისი მოწყალე თვალი აკლდა, აწ რაღა უჭირს, ისე გამდიდრდება, როგორც შიოს მარანი.

— მალადეც, მედუქნე, მალადეც!.. კარგი სიტყვა-პასუხისა ყოფილხარ. არ მეგონე, ძმობამ, არ მეგონე—ამხნევებდა ნამამასახლისარი.

შევრცხვი, ვგრძნობდი, რომ პირზედ სიწითლე წამომერია, ვიცოდი, ეს სულ იმერული თილისმობა იყო, მაგრამ რა მექნა. შევიფერე ქება, აქ მეტი აღარა გაეწყობოდა-რა და შევსძახე მედუქნეს ჯიბიას სიამაყით: აბა, ძმობილო, რაც გეშოვებოდეს, მოგვიტანე, შენ დარდი ნუ გაქვს მეთქი.

— იმე, რისი დარდი მექნება ჩემო ხელმწიფევ. შენისთანა სტუმარი კაცს მოუვიდეს და იმას კიდევ საფიქრალი რამე ჰქონდეს, ყელ-გამოსაჭრელია... შენ რომ მიბრძანო, შვილს დაგიკლავ, იმ ერთად-ერთს შვილს, ის შვილი ნუ მომიკვდება!

— მალადეც, მედუქნე, მალადეც!.. ვიცოდი არ შემარცხვენდი, მიტომაც მოვიყვანე შენთან ეს კნიაზი, თვარა სოფელშიაც კი ვუშოვნიდი ბინას...

მე ხან ვწითლდებოდი, ხან ვფითრდებოდი სიანჩხლით. ერთი გული მეუბნებოდა, წვერში ვეცემი მედუქნეს, როგორ მიბედავს ასე აშკარად ჩემს გასულელებას მეთქი; მაგრამ მეორე გული მაყენებდა: ამისთანა გაჭირვების დროს ამდენი პატივი გცეს, მადლობის მეტს სხვას რას ემართლებიო. მივეცი თავს მოთმინება და იმათს ქებაზე, მე რაღაც ახირებულად ვიღრიჯებოდი.

რაც უნდა ხელძვირი ვყოფილვიყავი, ამდენის ჩემის ქების და დიდების შემდეგ თავ-დაჭერა აღარ გამოდგებოდა. ნამამასახლისარს ვუთხარი, თუ კაცი ხარ, ერთი ამაღამ კარგად მოილხინე მეთქი.

— კი, შენი ჭირიმე.

მერე უცებ შესძახა მედუქნეს:— დაახალე ქუდი, ბიჭო, დაახალე.

ასემც თავი დაექცეს კნიაზის მტერს და მაწყევარს—გახდა ხეთქა მედუქნის ბოხოხს მიწაზე. მისგან აღენილმა მტვერმა ცხვირის ნესტოები აგვივსო.

— რა, ჩემო ძმაო, გინდა კომლს დავეუხრჩვივართ, გინდა შენს ნაგავს, წაილაპარაკა ნამამასახლისარმა ჩემს გასაგონად.

— უკაცრავად, თქვენი ჭირიმე, ეს თქვენი სიამოვნებისა იყო!.. თქვენს ბძანებას ველარ გადუვედი!.. ნაგავში ამოგანგლული ქუდი გაბერტყა და ისევ დაიხურა. ის იყო რაჭველი; მაგრამ ყმაწვილობიდგან კახეთს იყო გადავარდნილი: თავის მებატონეს, რაჭის ერისთავს გაქცეოდა; ტფილისში დიდხანს ეცხოვრა, მაგრამ ხეირი რომ ვერ ენახა, რაც თითო-ოროლა გროში შეეგროვებინა, იმითი ნაქერალას ძირში დუქანი გაეღო. ლაპარაკში უფრო ქართლ-კახეთის კილოს ხმარობდა, თუმცა აქა-იქ იმერულსაც ურევდა.

ცოტას ხანს იქით მედუქნემ ცეცხლის პირს ტაბაკი დაგვიდგა, ზედ ბროწეულ-გადასხმული დედალი წამოსდო, გვერდით ამოუწყო რაჭული ღორის ლორი, გარს შემოუმწკრივა სასასმო ჭიქები, მასთან ოთხი ბოთლი ღვინით სავსე და მერე გაფიცხებული კეცის ჭადები მოაყოლა. ამდენს სიკეთეს ნამამასახლისარის კარგი მადაც ზედ დაერთო. არც მე ვიყავი უმადოდ. ამისთანა მასპინძლობამ მთელის დღის ნამგზავრნი ნეტარებაში შეგვიყვანა. ნამამასახლისარმა გაუსვა ხელი: სანამდის ჩვენ ორის ლუკმის ჩადებას მოვასწრებდით, იმან ორი მჭადი მიახვია, ერთი ღორის კელავერი, ნახევარი ქათამი და ბოთლინახევარი კურსეველი ღვინოც ზედ დააყოლა. სანამდის კარგად არ შექანქალდა, არც სუფრიდან აუღია თავი და არც ხმა ვისმესთვის გაუცია. შემდეგ კი წამოჰყო თავი, დალია ჩემი სადღეგრძელო და მორთო ძველი «მრავალ-ჟამიერ»; მას მოაყოლა «მოსვლისა», «მაყრული», «გიხაროდენ მიმადლებულო», «განათლდი, განათლდი ახალო იერუსალიმ» და მრავალი სხვა. იმათთანა შეწყობილი ხმები და გალობა ჩემს ყურებს დიდი ხანია არ სმენია.

საზოგადოდ ოკრიბა ძველადგანვე ყოფილა გენათის სამწყსო. იმ დროს ოკრიბის თავად-აზნაურობა განთქმული ყოფილა გალობით. ამ წოდებიდამ გამოსული წარჩინებულნი მგალობელნი გენათის მონასტრის საკათედრო ქოროს შეადგენდნენ. კანდელაკთა გვარი მაინც განსაკუთრებით ნაქები ყოფილა საეკლესიო გალობაში. დღეს ოკრიბაში თავად-აზნაურთა გვარი თითქმის მოსპობილია. წარჩინებულთა გვარნი ან ამოწყვეტილა, როგორც მაგალითად მხეიძენი, რომელთ რიცხვში ითვლებიან წმინდანი მამულის მებრძოლნი დავით და კონსტანტინე, ან ბარად გადასახლებულან.

მაშინდელის გენათელის მაგიერად დღეს მონასტერის უფროსად წინამძღვარია. დიდებულის ქოროს მაგიერ დღეს იქ ისმის მხოლოდ მოხუცის ბერის მტკნარი «კირიალეისონ». მაგრამ

«რაც ერთხელ სულსა ღრმად დააჩნდების,
საშვილის-შვილოდ გარდაიცემის».

ოდესმე სახელ-განთქმულის თავად-აზნაურობის წმინდა მოვალეობა დღეს თითქოს კვლავ განედლებულა და აფეთქილა ოკრიბის გლეხ-კაცობაში. ამ ჟამად თითქმის ერთს გლეხსაც ვერ ნახავთ, რომ ძველი გალობის კილო ზედ-მიწევნით არ იცოდეს. იმას შეჰყვარებია გენათის მონასტრის სულიერი ნაშთი. იშვიათად შეგხვდება ისეთი გლეხის ღარიბი ოჯახი, რომ თავის ღარიბული პურის ჭამა საგალობლებით არ შეამკოს. ამის შემხედვარეს უნებურად მოაგონდება კაცს ამირანის ზღაპარი. თუმცა მძვინვარე ბედს ამირანი მოუკლავს, მაგრამ მის ფარ-ხმალს მისი ჯერეთ უწლოვანი უმცროსი ძმა უწვდის ხელს და ზღაპარშიაც ხომ ისე არის გამოყვანილი.

გ. წერეთელი.

(შემდეგი იქნება.)

ცხოვრებდნენ მუდამ, ამასთანავე ისეთებმა უნდა იკისრონ მოვალეობა მმართველობის წევრობისა, რომ ბეჯითი შრომა შეეძლოთ. ამაზედ ცხარედ ლაპარაკობდა ბატონი უმიკაშვილი.

რამდენმამე კანდიდატმა უარი განაცხადა. საკვირველი ის იყო, რომ ზოგმა ისეთმა განაცხადა უარი, რომელთაც საზოგადოება იცნობს, როგორც საიმედო მშრომელთ. სთხოვდა კრება ბეჯითად, მაგრამ მათ ბეჯითი უარი სთქვეს, მიზეზი გვაქვსო. ეს შესაძლებელია, შესაწყნარებელია და აიხსნება რითიმე. მაგრამ, როგორ უნდა აეხსნათ სრულებით საზოგადოებისაგან უცნობის, საზოგადო საქმეში უჩინარის კაცის ან დასახელება და ან ამ კაცებისაგან მიღება კანდიდატობისა. იქნება ეს უჩინარნი და უცნობნი ბეჯითი მოსაქმე გამოჩნდნენ, იქნება კანდიდატობა ამის-გამო იკისრეს თვითონ. მაგრამ ყრილობის მხრით ეს გაუფრთხილებლობაა და ისევ ძველი დაუდევრობის ქირმა თავი იჩინა, თუმცა კი წინად გამოცდილის დაუდევრობის ნაყოფი თვალ-წინ უდვა. კიდევ მადლობა ღმერთს, რომ იმათთან კანდიდატებად იყვნენ მოხსენებულნი ისეთნიც, რომელთაგან საიმედო შრომას უნდა მოველოდეთ.

წევრებში კიდევ ერთმანეთში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ აქტიორების ამორჩევა მმართველობის წევრებად, სასარგებლოა თუ არაო. თითქმის შუაზედ გაიყო ხმები. ზოგი სასარგებლოდ ხედავდა, იმიტომ რომ რადგან სცენის მშრომელია აქტიორი, შრომის ელემენტს შეიტანს მმართველობაშიო. მოწინააღმდეგენი იმ აზრისანი იყვნენ, რომ აქტიორის მონაწილეობა მმართველობასა და დრამატიულ დასს შუა გაუთავებელ უსიამოვნობას გააჩენსო. ეს კი უნდა ვსთქვათ, ამ საგანზედ ლაპარაკი თუ იყო, თვით წევრებში იყო და ყრილობას ამაზე ხმაც არ ამოუღია.

ბოლოს დაალაგეს კენჭის ყუთები, რადგანაც მმართველობის წევრების ამორჩევა წესდების ძალით უეჭველად კენჭის ყრით უნდა მოხდეს.

ამორჩეულ იქმნენ წესდების საფუძვლით შვიდნი წევრნი მმართველობისანი: თ. გიორგი თუმანიშვილი, თ. დავით ერისთავი, თ. იოსებ ანდრონიკაშვილი, ბ. ალექსი მირიანაშვილი, თ. ვასილ თუმანიშვილი, ბ. ვასილ სულხანოვი და სამი კანდიდატი მმართველობის წევრებისა: თ. ვასილ ჩერქეზიშვილი, ბ. ვასილ აბაშიძე და ვლადიმირ ალნიაშვილი.

სხდომის გათავებისას ახალის მმართველობის წევრებმა მიანდეს თ. ვასილ თუმანიშვილს, რომ ამ კვირას მოიწვიოს წევრები თავმჯდომარის, მდივნის და ხაზინადარის ამოსარჩევად.

ბოლოს საზოგადოებამ მადლობა მოახსენა თავმჯდომარეს თ. რაფიელ ერისთავს შრომისათვის და ხანგრძლივი ტაშის კვრა მოისმა.

კრება დაიშალა მეოთხე საათის ნახევარზე.

## მმართებლობის განკარგულებანი

ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება და უბოძა საერო განათლების სამინისტროს მოხელეთ ჯილდონი:

წმ. სტანისლავა 2-ე ხარისხისა: დამსახურებულ მასწავლებელს, სტატსკი სოვეტნიკს კრაუზეს; ელისავეტპოლის გიმნაზიის დირექტორს კოლ. სოვეტნ. სტარიცკის; ნადვორნი სოვეტნიკებს: საერო სასწავლებლის ინსპექტორებს: თერგის მაზრისას—პავლოვს და ელისავეტპოლის და ერევნის გუბერნიისას—პახალოვს; ინსპექტორს-მასწავლებელს ახალ-ციხის სასწავლებლისას—გოპაძეს.

წმ. ანნა 3-ე ხარისხისა: კოლლეჟსკი სოვეტნიკებს: გიმნაზიის მასწავლებლებს: ტფილისისას—ელჩუკოვსა, სტავროპოლისას—ლოპატინსკის; ნადვორნი სოვეტნიკებს: ქუთაისის გიმნაზიის ინსპექტორს—ტოპორკოვს; ტფილისის მეორე გიმნაზიის მასწავლებელს—ბოგოიავლენსკის; პირველის გიმნაზიის მასწავლებლის თანაშემწეს-პრიპუტნევს; ტფ. რეალურ სკოლის მასწავლებლის თანაშემწეს—ჩერმაკს; ინსპექტორს-მასწავლებელს ყარსის საქალაქო სასწავლებლისას—ბალაევს; დუშეთ-თიანეთის სკოლის ზედამხედველს—აბაშიძეს.

წმ. სტანისლავა 3-ე ხარისხისა: ექიმს-მასწავლებელს ქუთაისის სამოსწავლო სემინარიისას—ბერნს; გიმნაზიის მასწავლებლებს: პირველისას ტფილისში—პრისელკოვსა, ვლადიკავკაზისას—ლებედევს; ქუთაისის გიმნაზიის პანსიონის აღმზრდელის თანაშემწეს—გუსოვს; ადიუგენის სკოლის ზედამხედველს—დივანოვს; შუშის რეალურ სასწავლებლის მასწავლებელს—იოჰანესოვს; ტფ. მეორე გიმნაზიის მასწავლებლის თანაშემწეს—ბელიოზოვს; ქუთაისის გიმნაზიის პანსიონის ეკონომს—მისენკოს; გიმნაზიის მასწავლებლებს: ერევნისას—სოზონოვს; ქუთაისისას—კოსტან. დოლობერიძეს; ქუთაისის პანსიონის აღმზრდელს—თხორჟევსკის; საოსტატო სემინარიის მასწავლებლებს: ხონისას—მოხირს; ერევნისას—ანდრია კარამოსკოს; რეალურ სასწავლებლების მასწავლებელთა-თანაშემწეთ: თემირ-ხან-შურისას—კოსტ. მიხაილოვსკის, ბაქოსას—ალექ. რიჟოვს.

უმართებულესის სენატის უკაზის ძალით მიეცემათ: სურამის პრისტავს — ქარსიძეს — კოლლეჟსკის ასესორობა; სეკრეტრის თანაშემწეს — თავადს ნიკოლოზ ციციშვილს—კოლლეჟსკის სეკრეტრობა; კოლლეჟსკის რეგისტრატორს—მიხეილ ფავლენოვს—გუბერნსკი სეკრეტრობა.

## ნაკვესი

ჩვენი სახელოვანი რიტორი პლატონ იოსელიანი ცოტა ხელ-მოჭერილი კაცი იყო და, რადგანაც ორი ათასის ჯგორის ნაღს *) ჯამაგირათ ცოტაობდა და იზოგავდა, მესამე კლასით დადიოდა ხოლმე რკინის გზითა და თან თითქო ჯავრი მოსდიოდა, სხვანი პირველისა და მეორე კლასით რად დადიანო:

— ბრიყვები, განა ისინი ჩემზე წინ ჩავლენ, რომ ასე იხარჯებიანო! ბრძანებდა ხოლმე ფილოსოფოსი.

პლატონ იოსელიანი და გიორგი მუხრანსკი.

პლატონ. გიორგი, რამდენჯერ იცვლი თვეში პერანგს?

გიორგი. როგორ თუ თვეში? ყოველ დღე ვიცვლი.

პლატონ. ოჰ, დიდად ჭუჭყიანი ყოფილხარ, თქვენმა მზემ.

ლელო.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ.)

შენს მტერს, მკითხველო, რაც ჩვენ უბედურება მოგვივლის, თუ ყველას დავიჯერებთ, რასაც კი სწერენ. საუბედუროდ ენამ უყივლა ამ ჩვენს «ივერიას». არა, რა იყო, რომ პირველ ნომერშივე ყარყუმივით წამოიძახა: «ღმერთმა ნუ დაგაბეროთო!» ეჰ, ბატონო, დაბერებას ვიღა ჩივის! ღამის მეორე ახალი წელიწადი ვეღარ ვნახოთ. გამოეთხოვე, მკითხველო, შენს მტერსა და მეგობარს, მოინანიე სული, თორემ აი ნახევარ წელიც არ გაივლის და მთავარანგელოზის საყვირი გვაუწყებს მეორეთ მოსვლას. ხუმრობა არ გეგონოთ! განა მე კი სიცოცხლე არ გამტკბობია, განა მე კი თავზე ხელ აღებული ვარ? მაგრამ რას იზამ? აი ერთს ვიღაც უსაქმო კაცს საიდგამღაც ძველი ნოსტრადამის წიგნი ამოუქექია და იქიდამ რა ამოუკითხია:

«როდესაც მისირის აბდულა ბეგი ნადირ შაისაგან ტანჯულ იქმნება, და მაჭმადისაგან კვლავ აღდგენილი აუშტრიანთ მათიასგან წარყვანილი,—მსოფლიოს ბოლო მოელება და მეორეთ მოსვლა იქმნებაო».

აბა აქ დასაჯერი რა არის, რა მეორედ მოსვლის ნიშანია? იკითხავს გულმოსული და მოუთმენელი მკითხველი. თქვენ ეგრე სთქვით, მაგრამ აი ფრანგების კალენდრის ანგარიშით აქედამ რა გამოდის: 1886 წელსა წმინდა გიორგობა მოდის წითელს პარასკევს, ე. ი. ჯვარცმის დღეს, წმ. მარკოზის დღესასწაული — აღდგომას და ზევარდამოხსნა წმ. იოანნეს დღესასწაულს.

ამაზედ მეტი მტკიცე და ნამდვილი ნიშნებიღა გინდათ?! ეჰ, ამისთანა რახა-რუხს არც მე დავუჯერებდი: ჩვენი კოდელ ნინო კი არ გადაშლის ხოლმე ამისთანა წიგნებს!

მაგრამ ამ მსწავლულ კაცებს რაღას უზამთ? ატეხილან და ამ საწყალს 1886 წელს ათასს თავგადასავალს და ფათერაკს უქადიან:— ეს საშინელი მიწის-ძვრა იქმნებაო, ეს რაღაც კუდიანი ვარსკვლავი უნდა გამოჩნდესო და თავის კუდით მთელი დედა-მიწა აჭკავოსო, ეს კიდევ ერთი რაღაც ვარსკვლავი გაგიჟებულა, და ჩვენის დედა-მიწის გულში ჩაკვრა მოუწადნია... მერე უბრალო, უსაქმო კაცი კი არ გეგონოთ ამის მთქმელი! არა, ბატონებო! ასტრონომი გახლავთ, ვარსკვლავთ-მრიცხველი, ერთი წარჩინებული პარიჟის აკადემიის «უკვდავთა» წევრთაგანია! მოდი და ნუ დაიჯერებ, როდესაც, ამ რამდენსამე წლის წინად, ამ ვარსკვლავთ მრიცხველის სიტყვა სრულიად გამართლდა. იტალიის კუნძულის ისკიის ზღვისაგან შთანთქმა წინადვე გვაუწყა და მართლადაც იგი იტალიის კუნძული შთანთქა სრულიად ზღვამ მიწის ძვრის შემდეგ.

* * *

ნეტავი ამეებზე რაღა ეხლა ატეხეს ლაპარაკი! ბატონო, ვფიქრობდი: ძლივ ღმერთმა მიშველა, ჩემი სახელი ისტორიაში ჩაიწერება, საუკუნოდ სახსენებელი გავხდები მეთქი, და აჰა, ყველა ამას ბოლო უნდა ჰქონდესო! მაშ ჩემ სახელს ვიღა მოიგონებს? ახლა არ მკითხავთ ბატონო, რა ღვაწლი მიმიძღვის ამისათვის? რა ხანია, რაც მეცნიერები თავს იმტვრევენ და ვერ შეუტყვიათ, რომელ ადგილას აღმოცენდა პირველად კაცობრიობის ცივილიზაცია. მე კი, რაღაც ზენაშთაბერვით, ერთს წამს მივხვდი: ცივილიზაციის დასაწყისი, ბუდე, ნასკვი ჩვენ სამშობლოში უნდა იყოს. მერე, იცით, რამ მიმახვედრა ამ უცნაურს აზრსა? უბრალო გარემოებამ: ლუარსაბ თათქარიძე ჩანივრულის არტალით რომ გაძღებოდა და ტახტზე გაგორდებოდა, ჭერში ბუზებს თვლას დაუწყობდა ხოლმე. — საიდამ ხადაო-წმინდა საბაო, სად ცივილიზაცია და ლუარსაბ თათქარიძე, სად ცივილიზაციის პირვანდელი ბინა და ჭერში ბუზები! ღიმილით და მხრების აწევით იტყვის მკითხველი. აი, ამის შესახებ, გაზეთში—«Новое Время» რა სწერია:

> მოსკოვში ვიღაცა მიჩინსონს ლექცია წაუკითხავს ერთის დიდ გვარიანის და მაღალის ჩამომავლობის ზანგის ქალზე. აი თურმე როგორ ატარებს აფრიკის კეალუცი ცისმარე დღესა: მთელი დღე დიდკაცურს განცხრომაშია; ერთი მოსამსახურე თმაზე ვარდის წყალს ასხურებს, მეორე თმას უვარცხნის, და დანარჩენნი მღერიან, ცეკვენ და ქალბატონს ფეხის გულს უზელვენ. ამის შემდეგ კეალუცი განსვენებას ეძლევა. გაიღვიძებს თუ არა, ისევ ამ ყოფით შეექცევა.
>
> ეს გარემოება, ე. ი. ფეხის გულის ზელვა და ზოგიერთი კიდევ სხვა, ბძანებს ბ. მიჩინსონი, ნებას მაძლევს, გადაჭრით ვსთქვაო, რომ ცივილიზაციის დედა-ბუდე აფრიკაში უნდა ყოფილიყოსო.

მიბძანეთ, ბატონებო, რაღა სჯობია: «ფეხის გულის ზელვა», თუ «ჭერში ბუზის თვლა?»

* * *

ეჰ ძმაო ჰორაციო, ქვეყანაზე ბევრი იმისთანა საიდუმლოა, რომ ჩვენ ფილოსოფოსებს სიზმრადაც არ მოსჩვენებიათ, ვიტყვით შექსპირის პირით. თუნდ ამასაც ყველას თავი დავანებოთ, გაგიგონიათ როდისმე მკითხველო, ამისთანა უცნაური ამბავი, რომ დედაკაცი,— გათხოვილი, ქმრიანი, — ისევ გასათხოვარ ქალად ქცეულიყოს. ჩემი კი რა მოგახსენოთ, და ხნიანი დედა-კაცებისგან კი გამიგონია, რომ ეს ყოვლად შეუძლებელიაო. მაგრამ რუსის დედაბერი კი, «Русская Старина» სულ სხვას გვაუწყებს:

> ერთხელ როდისღაც, ძველად, ბრიგადირმა იგნატიევმა თავის ცოლს ველარ გაუძლო და გაექცა. იგნატიევი მოსკოვიდამ კიევში გადასახლდა, აქ მას არავინ იცნობდა; თავის თავს ქვრივადა სთვლიდა და მეორედ ჯვარი დაიწერა გენერალ-ლეიტენანტის ნილუსის ქალზე. იგნატიევის პირველმა ცოლმა შეიტყო თავის უძვირფასესის ქმრის მეორე ცოლის შერთვა, და მაშინვე თავის ქმარზე საჩივარი შეიტანა.
>
> ამ საქმის გამო შემდეგი განკარგულება მოხდა: «ბრიგადირი იგნატიევი კიევიდამ მოსკოვში იქმნეს მოყვანილი, ებძანოს ისევ პირველ ცოლთან ცხოვრება, მეორე ცოლი კი ისევ ნილუსის ქალად დარჩეს».

* * *

რაკი ამ გვარი ლაპარაკი ჩამოვარდა, ნება მიბოძეთ, ერთი ახირებული უცნაური ამბავი კიდევ გაცნობოთ. აი იმავე ჟურნალში: «Р. Ст.» რას ვკითხულობთ:

> ერთი აფიცერი შეცდომით სამსახურიდამ იყო გამორიცხული «სიკვდილის გამო». მაგრამ რადგანაც აფიცერი ცოცხალი იყო და არა მკვდარი, თხოვნა მიართვა თავის უფროს და ეხვეწებოდა მოწმობა მაინც—მეცათ, რომ, თუმცა სამსახურიდამ «სიკვდილის გამო» გამომრიცხეთ, მაინც ცოცხალი ვარო. უფროსმა უარი უთხრა: გარდაწყვეტილების წინააღმდეგ მე ვერაფერს ვიზამო. შენ მტერსაც ნუ მისცეს, რაც ამ საწყალ მკვდრებში ჩათვლილს აფიცერს დღე დაადგა. სამსახურში აღარსად იღებდნენ, და ნდობა აღარავისი ჰქონდა, აქაო და მკვდარი ხარო. მეორედ კიდევ შეიტანა არზა. აი რა განკარგულება გამოუვიდა: «პორუჩიკს, რომელიც სიკვდილის გამო» სამსახურიდამ იყო გამორიცხული და ხელახლად სამსახურში მიღებას თხოულობს იმის გამო, რომ ცოცხალი ყოფილა და არა მკვდარი,—უარი ეთქვას იმავე მიზეზითა».

აი უბედურება თუ გინახავთ, ეს არის. კაცი დადის—ხელს, ფეხს ხმარობს, იძახის—ცოცხალი ვარო; უყურებენ, კაცი მართლა ცოცხალია, და მაინც კიდევ ეუბნებიან: თუმცა ცოცხალი ხარო, მაგრამ მაინც მკვდარი ხარო.

## დამაკვირდი!

თუ შენ თავის-დღეში არ გინახავს მშვენიერი ქალი სევდიანი და დაღონებული, ნუ იტყვი, რომ მშვენიერება მინახავსო. თუ ქალის მშვენიერს სახეზედ არ წაგიკითხავს სიხარული, ნუ იტყვი—სიხარული მინახავსო.

(შილლერი.)

* * *

ალმასმა უნდა თავი მოიწონოს, რომ პოეტები ადამიანის გულს მას ადარებენ. (ჰეინე).

* * *

ვაი იმას, ვისაც ერთის დღის სიამოვნება მაინც ვერ შეუწირავს კაცებურის მოვალეობისათვის! (ჟან-ჟაკ-რუსო).

* * *

როცა ქალზე ლაპარაკი გსურს, კალამი ცისარტყელაში ამოავლე და პეპლას ფრთები ზედ დააბერტყე.

(დიდრო).

* * *

ბუზი ამაყის მსგავსია მოურიდალის ქცევითა:
მისებრვე მაღლა აფრენა არ შეუძლიან ზევითა.

(მეფე კასტანგ VI.)

## უცხოეთი

**ოსმალეთი.** სალისბიური ყოველს ღონის-ძიებას ხმარობს, რომ ოსმალეთი და ბოლგარია უთუოდ მოარიგოს. ინგლისის წარმომადგენელნი სოფიაში და სტამბოლში ძალ-ღონეს არ ზოგავენ, ყოველს გვარს საშუალებას და ხერხს ხმარობენ, დაარწმუნონ მთავარი ალექსანდრე და სულთანი, რომ მათ მხოლოდ ერთად-ერთი გზაღა აქვთ. ეხლანდელი გაჭირვებიდგან გამოვიდნენ. ეს ის გზა არის, რომ უშუაკაცოთ ერთმანეთში პირ-და-პირ მოილაპარაკონ. აი ინგლისელების პროკლამაცია ოსმალების მიმართ: შეურთდით ბოლგარიას, ეს თქვენთვის აუცილებლად საჭიროა: თუ საბერძნეთი თქვენზე საომრად წამოვიდა—ბოლგარიაც თქვენგან გულნატკენი, ხელ-აღებული და შევიწროებული, რომლისის გამო, იძულებული იქმნება შეიარაღდეს, საბერძნეთს ხელი მისცეს. მაშინ ბალკანის ნახევარ კუნძულზე საქმე აირ-დაირევა და ჩვენ ხელი დაგვიბანიაო. თუ კი წინ-დახედვით მოიქცევით და ბოლგარებს მოიმხრობთ, სა-

---

*) ასე ეძახდა ფილოსოფოსი მანათსა.

ბერძნეთს მეტი ღონე აღარ ექმნება, უნდა თოფ-იარაღს ხელი ანებოს და თავისთვის მოსვენებით იყოს. მთელი ევროპა თანაგვიგრძნობთ თქვენ და თქვენს მშვიდობიანობის მოყვარეობას; ბოლგარიაში რაც მოხდა—მოხდა, ამას აღარა ფერი ეშველება. ბოლგარებმა თავიანთ თავ-განწირულ მამულის-შვილობით, გასაოცარის მამაცობით და პოლიტიკურის მართებულობით შეიძინეს მთელი ევროპის თანაგრძნობა და განწყობილება. ევროპა ეხლა თითქმის ერთხმად აღიარებს ბოლგარიის და რუმელიის შეერთებას. ამას თქვენ წინ ვერ აუდგებით.

«მაშ, შერიგდით ოსმალნო და ბოლგარნო, მტკიცე პირობა შეჰკარით ერთმანეთთან, ღირს ექმენით იმ თანაგრძნობასა, რომელიც ორთავემ მოიპოვეთ ევროპაში: მაშინ მალაც გექნებათ და პატივის-ცემაც!»

ამბობენ, ბოლგარიის მთავარს და სულთანს ძალიან მოსწონებიათ ეს სიტყვა-წყლიანი რჩევა: თქმა არ უნდა, ტორიის დასისთვის ფრიად სასიამოვნოა ეს ამბავი.

* * *

**ბოლგარია.** გაზეთი «*Times*»-ის ვენელი კორრესპონდენტი ამბობს შემდეგს იმ წერილის შესახებ, რომელიც მთავარს ალექსანდრეს ოსმალეთისთვის გაუგზავნია. თავის წერილში ბოლგარიის მთავარი თხოულობს, რომ იგი დანიშნული იყოს რუმელიის გუბერნატორათ ხუთის წლის ვადით; კანონთ დებულება შეცვლილი იყოს იმ გვარად, რომ რუმელიის და ბოლგარიის დეპუტატებს ნება ჰქონდეთ შეიყარნენ ხოლმე სოფიაში და იქ ერთად მსჯელობა იქონიონ, სხვა-და-სხვა საერო საჭიროებათ განსაკითხავად. ბოლგარიის მთავარი თხოულობს კიდევ შემდეგ სამხედრო საქმეთა გამგეობას: აფიცრების ჯარში გაწესება კაპიტნის ჩინამდინ, მთავარს უნდა მიენდოს. გენარლები-კი სარდლათ დაინიშნებიან სულთანის ნება-რთვით. ხარჯის შეტანის შესახებ ბოლგარიის მთავარი ამბობს თავის წერილში: ამ ხანად შემოტანილი იქმნება 3 მილიონი მანათი, წინად დარჩომილის ვალის შესავსებლად; ყოველ წლიური შესატანი ფული კი შემდეგში ცალკე კომისიამ აღრიცხოსო. კორრესპონდენტი გვარწმუნებს, რომ სულთანი ყველა ამ პირობებზე თანახმა არისო.

მთავარ ალექსანდრეს შემდეგი წიგნი მიუწერია ვენაში ერთის წარჩინებულის კაცისთვის; აი ამ წიგნში რა სწერია: «გთხოვთ გამოაცხადოთ საქვეყნოდ, რომ კოროლ მილანთან მე არა გვარი უსიამოვნობა არა მაქვს. გულით მსურს, რომ, როგორც ჩემსა და მილანის შორის, აგრეთვე ბოლგარიის და სერბიის შუაც სრული თანხმობა და მშვიდობიანობა ჩამოვარდნილიყოს. მე არც მომინდომებია არც მოვინდომებ რომ ობრენოვიჩის გვარეულობა ტახტიდამ გადაგდეს. გულით ვისურვებ, რომ სერბიაში ჩქარა მოსპობილიყოს ურთიერთ შორის შუღლი და განხეთქილება.»

ბოლგარიის მთავარი ცოლის შერთვას აპირებს. ამას თურმე დიდი ხანია უყვარს ერთი პრუსიის პრინცის ქალი და მარშანვე იმაზედ ჯვარის დაწერა ჰსურვებია.

* * *

**საბერძნეთი.** იმ საერთო აყალ-მაყალში, რომელიც ასტეხა ბალკანიის ნახევარ-კუნძულზედ ფილოპოპოლის ანუ ბოლგარიისა და რუმელიის შეერთების ამბავმა, საბერძნეთის სახელმწიფოს ხმაც თან-და-თან უფრო მეტის ძლიერებით ისმის.

პატარა საბერძნეთის სახელმწიფო, რაც შეუძლიან იმუქრება შორიდამ. საბერძნეთი ეხლა დიდს მზადებაშია, ყოველ ღონის-ძიებას ხმარობს, რათა გააძლიეროს თავისი ჯარი, სესხულობს ფულს ყველგან, სადა კი შესაძლოა, ჯამაგირებს უმცირებს მოხელეებს, ახალს ხარჯს აწესებს და სუყველა ეს იმიტომ—რომ თოფ-ქვეშ დააყენოს რამდენიმე ათი-ათასი ჯარის კაცი, ვითომ და ოსმალეთთან საომრად.

საბერძნეთს უნდა, რომ საერთო არეულობის დროს თავათაც ხეირი ნახოს და ცოტაოდნად მაინც განზე გასწიოს სამზღვრები. საბერძნეთსაც ის ამღელვარებს, რაც სერბიას ამღელვარებდა. თუ ბოლგარია გაძლიერდება და რუმელიას შეიერთებსო, რატომ მე კი არ უნდა შევიძინო ბერძნებით დასახლებული მომიჯნავე პროვინციები ეპირისა და თესალიისა, კუნძული კრიტი და სხვ.

მერე ამისთანა შემთხვევაში იღბალი აქვს საბერძნეთს. ამ გვარის მზადებით ომისათვის, ამ გვარის ფართი-ფურთით საბერძნეთმა ევროპის ყურადღება მიიზიდა რუსთ-ოსმალოს ომის დროს და საკმაოდ განზე გასწია თავისი სამზღვრები და შემოიერთა ეპირისა და თესალიის ერთი ნაწილი, თუმცა თოფი არც კი დაუცლია და ერთი წვეთი სისხლიც არ დაუღვრია. შეიძლება ეხლაც ამისი იმედი ჰქონდეს, შეიძლება ეხლაც ისე მოახერხოს საბერძნეთის მოხერხებულმა პოლიტიკამ, რომ ჩახმახიც არ დააცემინოს, მაგრამ იქამდე იყვიროს თავის «არსებით საჭიროებასა და ინტერესებზედ», რომ ბალკანიის საქმის გათავების დროს კიდევ რომ არგუნოს და შესძინოს ევროპამ. საბერძნეთის გარეშე საქმეთა მინისტრი დელიანისი თავის ცირკულიარულ ნოტაში, რომელიც ევროპის სახელმწიფოებს დაუგზავნა, ამბობს, რომ ბოლგარიის საქმე მჭიდროდ ჩართულია საბერძნეთის საქმეშიო. მაგ საქმის გამო დღესაც ყველა იმაზე ფიქრობს ბალკანიის ნახევარ კუნძულზედ, ვინ და რომელი ტომი, უფრო უნდა გაძლიერდეს და ვინ და რომელს უნდა მიეცეს უპირატესობაო. დელიანისს იმედი აქვს, რომ ევროპა არ დაივიწყებს საბერძნეთსაც, არ მოინდომებს მის დაჩაგვრას და საბერძნეთზე მეტად სხვას არ გააძლიერებს.

თუ მართლა საბერძნეთმა დღევანდელი არეულობა ბალკანიისა ისე გამოიყენა, როგორც ბერლინის კონგრესის დროს, მაშინ ავსტრიაზე გამოთქმული ანდაზა სწორედ საბერძნეთისათვის იქმნება ზედ გამოჭრილი: «სხვები ომსა ხდილობენ, იმითი ძლიერდებიან და შენ კი, ბედნიერო ავსტრია, ქორწილებს იხდი და იმითი ძლიერდებიო.»

## დაგვიანებული დეპეშა.

იანვარი 13.

**ბერლინი.** გაზეთ «*Post*»-ის დეპეშა ვენიდამ ამბობს, რომ ნიშში გაიარაო რუსის ხელჩო მდივანმა ხომოვმა და ხელმწიფე იმპერატორის საკუთარის ხელით ნაწერი წიგნი მიაქვსო ბოლგარიის მთავრისათვის.

**ათინა.** ბრიტანიის ელჩმა გამოაცხადა, რომ თუ საბერძნეთი იარაღს არ აყრის და ზღვიდამაც მუქარას კიდევ გაუწევს ოსმალოს, ინგლისი თავის ესკადრას გაგზავნის საბერძნეთის გარემო ზღვაში. დელიანისს უარ-უყვია ყოველივე ეს და დილით ადრე საბერძნეთის ფლოტი მოხულა ზღვაში. ჯერ არ იციან, რისთვის. ფლოტის კომანდირებს დაბეჭდილის კონვერტით მიუღიათ ინსტრუქციები.

**პარიჟი.** პარიჟში ჩერნოგორიის მთავარი მოვიდა და ინახულა ფრეისინე.

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ **1886** წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14,

ამისი ქორონიკონი—უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მბ=42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3,

ყველიერი მოდის 16 ფებერვალს, დიდ-მარხვა—23 ფებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება—22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, ამავ დღიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

**იანვარი** 31 დღით არის.

14 დღე სამშაბათი. ღირსთა მამათა სინა მთას მოწყუდართა. წმ. მოციქულთა სწორისა ნინა ქართველთ განმანათლებელისა.

მიიცვალა 329 წ. ვახუშტის სიტყვითა და სხვათა სიტყვით—339 წ. ზოგნი ამბობენ 347 წ. მისი საფლავი სიღნაღის ახლოს. არის ტფილისის სიონში ასვენია ჯვარი ვაზისა, წმ. ნინას თმებით შეკრული. ამ ჯვარით ხელში ქადაგებდა ნინა ქრისტიანობას საქართველოში. მეფე ვახტანგმა ეს ჯვარი წაასვენა რუსეთს და იმპერატორმა ალექსანდრე I უბოძა საქართველოს. სომეხთა: შობა წმ. იოანე ნათლის-მცემლისა; კათოლიკეთა: გილიარისა და ფელიქსისა. მუსულმანთა: 21 დღე თვისა რები ულ-ახირ, 1303 ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა დღე 12—12—49. ტფილისში მზე ამოდის 7—19; ჩადის 5—7. მთვარე ამოდის 12—28 ნლ., ჩადის 11—10 დღ. მთვარე 22 დღისაა.

12 დღე ოთხშაბათი. ღირსისა პავლე თებელისა, იოანე მღვიმელისა. სომეხ. მარხვაა. კათ. პავლე 1-ს მეუდაბნოესი.

გურიამ მიიღო ქვეშევრდომობა რუსეთისა. იმერეთი შეუერდთა რუსეთს 1810 წ.

ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13—1. ტფილისში მზე ამოდის 7—18; ჩადის 5—8; მთვარე ამოდის 1—30 ნლ. ჩადის 4—54 დილ.

16 დღე ხუთშაბათი. დაცვენა ჯაჭვთა პეტრე მოციქულისა. სომ. პეტრე მამამთავარისა. კათ. მარცელისა და სტეფანესი. ჭეშმარიტი შუადღე 12—13—18. ტფილისში მზე ამოდის 7—17; ჩადის 5—10. მთვარე ამოდის 2—24 ნლ. ჩადის 12—25 ნლ.

## გამოსადეგი ცნობანი.

### მაზანდა.

1 იანვრიდამ 1-ლ თებერვლამდე.

| | |
|---|---|
| რუსეთის ფქვილისაგან გამომცხვარი პური 1 გირვ. | 5 კ. |
| ადგილობრი პური 1-ლის ხარისხისა. | 2¼ » |
| » » 2 » | 2 » |
| ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში | |
| 1-ლის ხარისხისა | 4½ » |
| მე-2 ხარისხისა | 3½ » |
| მე-3 — | 3 » |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა | 8 » |
| 2 — | 7 » |
| ჩალაღაჯი და ცალკე ამოჭრილი სუკი | 14 » |
| ცხვრის ხორცი | 7 » |
| ღორის ხორცი 4-ლის ხარისხ. | 5 » |
| 2-ის ხარისხ. | 4 » |

## გამოსადეგი ცნობანი.

### მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. და 35 წ. დ.
ბათუმიდამ მოდის — — 10 ს. და 25 წ. დ.
ბაქოში მიდის — — — 10 ს. და 45 წ. დ.
ბაქოდამ მოდის— — — 8 ს. ,, — ,, დ.

### ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის — 3 ს. და 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. და 24 ნ. წ. დ.

### მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა:

ტფილისსა და კავკავ შუა.

პირდა-პირ მსვლელნი ღამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს.
კავკავში შედის — — 5 ს. 15 წ.
კავკავიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31 -

ღამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.
კავკავში შედის — 5 ს. 11; 6—43 სალ.
კავკავიდამ გამოდის 9 ს დილით.
ტფილისში მომოდის 4 ს. 44; 5—25 სალ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით რადგან მარტო ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით; მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

## განცხადებანი

# ГОДЪ ЧЕТВЕРТЫЙ

о продолженіи въ 1886 году

**ОБЩЕ-ДОСТУПНАГО ЖУРНАЛА-ГАЗЕТЫ**

# „БЛАГОВѢСТЪ“

Выступить въ провинціи на поприще такой литературной дѣятельности, которая, доставляя общедоступный и назидательный матеріалъ для чтенія, служила-бы религіознымъ и патріотическимъ интересамъ нашего дорогаго отечества—Россіи,—дѣло не легкое, чтобы не сказать много трудное, среди того фальшиваго положеня, въ которомъ очутилась русская интеллигенція, благодаря давнѣй среди насъ враждебной пропагандѣ. Проходя уже молчаніемъ мѣстныя дрязги, мы не можемъ не отмѣтить и другой трудности существовать въ провинціи такому изданію, какъ, напр., журналъ-газета «Благовѣстъ». Наша всероссійская отвычка отъ серьезнаго чтенія и пристрастіе къ этому пустому «легкому чтенію» испортили вообще у насъ вкусъ къ чтенію; изданія же, ратующія за интересы Православія, самодержавія и Русской народности, среди органовъ фальшивой печати на Руси,—изданія подобныя „Бзаговѣсту,“ заслуживаютъ полнаго вниманія всѣхъ сыновъ отечества. Не сомотря, однако, на трудность своего настоящаго положенія, журналъ-газета „Благовѣстъ“, въ сознаніи своей благовременности и полезности, будетъ съ Божіею помощью издаваться и въ слѣдующемъ 1886 г. т. е. четвертомъ уже со дня своего начала Уповаемъ, что насанетъ время, когда притихнутъ въ Россіи иноземщика и иновѣрщина, когда згинетъ этотъ русскій либерализмъ т. е. всеобщая наша распущенность, а пока.. мы находимъ нужнымъ благовѣстить о Православно-русской и вѣрноподаннической правдѣ и чуждой кривдѣ на на святой Руси.

Программа нашего журиала-газеты „Благовѣстъ“ и на слѣдующій годъ остается прежняя:

1. Обозрѣніе текущей Церковно-общественной жизни въ Россіи и за-границею, въ ея современныхъ проявленяіхъ, мѣропріятіяхъ и пр.

II. Корреспонденціи о замѣчательныхъ цочему-либо новостяхъ и событяіхъ въ области духовно-нравственной.

III. Очерки, разсказы, жизнеописанія, краснорѣчіе, церковная старина, стихотворенія н пр.

IV Обозрѣніе современной печати, отечественной и иностранной, по вопросамъ духовно-нравственнымъ, рецензіи книгъ и т. п.

V. Отвѣты редакціи и объявленія

Журналъ-газета „Благовѣстъ“ будетъ выходить по-прежнему два раза въ мѣсяцъ, вь объемъ отъ однаго до двухъ листовъ. Цѣна за годозое издачіе ПЯТЬ руб. сер., съ доставкою городскимъ подписчикамъ и съ пересылкою иногороднимъ, а за полугодовое ТРИ руб. с. Розничная продажа по 20 к. с. за №. Объявленія для напечатанія въ журналѣ-газетѣ „Благовѣстъ“ оплачиваются по 8 коп. сер. за строчку петита.

Допускается разсрочка подписной палаты, по соглашенію съ Редакціею.

Редакціи журналовъ и газетъ. Которыя пожелаютъ обмѣниватся съ Редакціею журнала-газеты „Благовѣстъ“ какъ своими изданіями въ 1886 году, такъ равно и перепечаткою у себя объявленій объ изданіи на 1886 годъ, благоволятъ заблаговременно увѣдомить о томъ Редакцію „Благовѣстъ“, а равно перепечатать у себя настоящее объявленіе нѣсколько разъ, до и послѣ новаго года.

Подписка на журналъ-газету „Благовѣстъ“ принимается исключительно въ г. Харьковѣ, въ Конторѣ Редакціи журнала-газеты „Благовѣстъ“, на Екатеринославской улицѣ, въ домѣ Священника П. С Мигулина, № 57/76. Контора открыта ежедневно, отъ 9-ти часовъ утра до 4-хъ пополудни. Личныя объясненія по дѣламъ Редакціи могутъ быть ежедневно, отъ 12 часовъ дня до 4 часовъ пополудни.

Всякую переписку просимъ отправлять исключительно на имя Редактора-Издателя.

Думая, что настоящіе наши подписчики возобновятъ свои требованія на журналъ-газету „Благовѣстъ“ и на слѣдуюшій 1886 годъ, просимъ ихъ распространять наше патріотическое изданіе между соими знакомыми.

*Рсдакторъ-издатель Гр. Кулжинскій* (3—1)

Дозволено цензурою Тифлисъ 13 января, 1886 года    ექვთიმე ი. ხელაძის სტამბა საპერნის ქუჩაზე, საკუთარს სახლებში.    რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.